სატელევიზიო არხების წინასაარჩევნო მონიტორინგი

19 სექტემბერი - 26 ოქტომბერი 2013

2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით CRRC საქართველო აგრძელებს მედიის მონიტორინგს ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტის „პროფესიონალური მედია არჩევნებისთვის" ფარგლებში. მონიტორინგი დაიწყო 15 მაისს და გაგრძელდება 15 ნოემბრის ჩათვლით. დაკვირვება მოიცავს საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე, აჭარის ტელევიზიაზე და შემდეგ კერძო არხებზე: რუსთავი 2, იმედი, მაესტრო და კავკასია. მე-9 არხის მონიტორინგი ხორციელდებოდა მის დახურვამდე. მოცემული ანგარიში მოიცავს მედია მონიტორინგის შედეგებს 19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით.

მონიტორინგის ამ პერიოდში ტელევიზიების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ძირითადი მიგნებები:

- ყველა არხზე საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდნენ საპრეზიდენტო კანდიდატები და მათი კამპანიები. თუმცა, მიუხედავად ამისა, კვლავ ვერცერთ არხზე დათმობილი დროის მიხედვით კანდიდატები პირველ ხუთეულში ვერ მოხვდნენ.
- მიუხედავად საპრეზიდენტო კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანიების აქტიური გაშუქებისა, ყველა არხზე შეინიშნებოდა მათი საარჩევნო პროგრამების ანალიზის ნაკლებობა. შეიძლება ითქვას, რომ კამპანიების დაწყების დღიდან რა ინფორმაციაც ჰქონდა ამომრჩეველს კანდიდატების პროგრამების შესახებ არხების საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებებიდან, თითქმის არაფერი შემატებიათ არჩევნების დღემდე.
- სხვადასხვა სიხშირით და რაოდენობით შუქდებოდნენ როგორც საპრეზიდენტო კანდიდატები, ასევე პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, თუმცა საერთო ჯამში

შეიძლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო გარემო დაკვირვების ქვეშ მყოფ არხებზე ნაკლებად პოლარიზებული იყო და სუბიექტები ძრითადად თანაბარ მდგომარეობაში იყვნენ.

- საპრეზიდენტო კანდიდატები ყველა არხზე ძირითადად დადებითად შუქდებოდნენ, რაც მათი კამპანიებისა და წინასაარჩევნო აქტივობების ფონზე გაშუქებით შეიძლება აიხსნას.
- მონიტორინგის ამ პერიოდში ყველა არხზე შეინიშნებოდა ანალიტიკური სიუჟეტებისა და კონკრეტული თემების სიღრმისეული გაშუქების მატების ტენდენცია.

19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში იმ სატელევიზიო არხების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, რომლებსაც მონიტორინგი აკვირდება, ბევრი აქტუალური და მნიშვენლოვანი თემა გაშუქდა ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, განსაკუთრებით აქტუალური იყო 27 ოქტომბერს დანიშნული საპრეზიდენტო არჩევნები, საპრეზიდენტო კანდიდატები, მათი კამპანიები და აქტივობები. ამას გარდა საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვებები ბევრ სხვა იმ პერიოდისთვის აქტუალურ საკითხებს და თემებს შეეხო. ასეთები იყო: ბომბის შესახებ ცრუ შეტყობინებებზე კანონის გამკაცრება, ხუდონჰესის მშენებლობა და მის გარშემო განვითარებული მოვლენები, საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული ვითარება, საზღვრების გადმოწევა და მდგომარეობა საზღვრისპირა სოფლებში, სოჭის ოლიმპიადა და საქართველოს პოზიცია, ვანო მერაბიშვილის და ბაჩო ახალაიას სასამართლო პროცესები, თომას ჰამერბერგის ანგარიში, რთველი 2013, პრეზიდენტი გაეროს სხდომაზე, პრემიერ-მინისტრის შეხვედრა ექსპერტებთან და მედიის წარმომადგენლებთან, ბიძინა ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან და პრემიერის სავარაუდო კანდიდატები, სოხუმის დაცემის 20 წლისთავი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობა, ქუთაისის საპყრობილეში გარდაცვლილი არასრულწლოვანი, ირაკლი ღარიბაშვილის ანგარიში და სხვა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი

19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გვხდებოდა ვრცელი, ანალიტიკური და დაბალანსებული სიუჟეტები, სადაც მოცემული იყო რამდენიმე განსხვავებული პოზიცია. სიუჟეტების უმრავლესობა ამომწურავად და ობიექტურად აწვდიდა მაყურებელს ინფორმაციას განხილულ საკითხზე. ზოგიერთი თემა რამდენიმე დღის განმავლობაში განიხილებოდა მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში და სიღრმისეულად შუქდებოდა. ასეთი იყო, მაგალითად, სოფელ დვანსა და დიცში განვითარებული მოვლენები. ეს თემა ძალიან ხშირად შუქდებოდა და ყველაფერი დეტალურად და ამომწურავად იყო განხილული. აქვე, აღსანიშნავია, რომ აქტიურად შუქდებოდა წინასაარჩევნო პროცესი. კანდიდატები ძირითადად განიხილებოდნენ სიუჟეტში „არჩევნები 2013“, რომელიც ყოველ დღე მზადდებოდა და მიმოიხილავდა საპრეზიდენტო კანდიდატების პროგრამებსა და სამომავლო გეგმებს.

აღსანიშნავია, ოქტომბერში გასული არასრულწლოვანი პატიმრის გარდაცვალების შესახებ სიუჟეტი, რომელშიც დაუფარავად და გაუფრთხილებლად იყო ნაჩვენები გარდაცვლილი მოზარდის დაზიანებული სხეული, ჭრილობები, სახე და ოჯახის წევრების გლოვის საკმაოდ მძიმე კადრები, რაც სიუჟეტს კიდევ უფრო ამძიმებდა და ამასთან, მნიშვნელოვან ინფორმაციას არ შეიცავდა.

რაც შეეხება სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, 19 სექტემბრიდან 26 სექტემბრის ჩათვლით პერიოდშიც პირველ ხუთეულში ისევ მთავრობა (21%), ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (15%), კოალიცია ქართული ოცნება (12%), პრეზიდენტი (8%) და პრემიერ-მინისტრი (7%) მოხვდნენ. მათ შორის ყველაზე მეტი დადებითი ტონის წილი პრეზიდენტს (52%) და პრემიერ-მინისტრს (34%) დაუფიქსირდათ.

მართალია, ვერცერთი საპრეზიდენტო კანდიდატი დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში ვერ მოხვდა, თუმცა, მათ დრო საკმაოდ თანაბრად ეთმობოდათ. ნინო ბურჯანაძეს, გიორგი მარგველაშვილს და დავით ბაქრაძეს დრო ერთ წუთიანი განსხვავებით

დაეთმოთ. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქების ტონს, ყველა მათგანის შემთხვევაში ჭარბობს დადებითი ტონი.



აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ მოხვდა სიუჟეტი მდინარე ცხენისწყალში გაჟონილი დარიშხანის შესახებ, რომლის წყლითაც რამდენიმე ქალაქი მარაგდება.

აჭარის ტელევიზია

აჭარის ტელევიზიაზე 19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში კიდევ უფრო იმატა ცენტრალური ამბების გაშუქებამ. თუმცა, საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში კვლავაც დიდი დრო ეთმობოდა რეგიონთან დაკავშირებულ ამბებს. მონიტორინგის ამ პერიოდში გასული გადაცემების სიუჟეტები, ძირითადად, დაბალანსებული და მიუკერძოებელი იყო.

ამ პერიოდში იყო რიგი თემებისა, რომელიც აჭარის ტელევიზიას არ გაუშუქებია. მაგალითად, სამხედრო ქალაქის მშენებლობის შეწყვეტა, ხუდონჰესის მშენებლობა და სხვა. თუმცა, აქტიურად გრძელდებოდა სოციალური თემების გაშუქება. ასევე, შუქდებოდა რეგიონისთვის სეზონურად დამახასიათებელი მნიშნველოვანი პრობლემები. თუ ზაფხულში აქცენტი კეთდებოდა ტურიზმზე, შემოდგომაზე ყურადღების ქვეშ მოექცა ციტრუსის მოსავალი. აღსანიშნავია, რომ ოქტომბრიდან შეიმჩნეოდა სოციალური თემებში უფრო მეტი ანალიტიკა. თემა მრავალმხრივ იყო განხილული და ინფორმაცია ამომწურავად მიწოდებული.

მართალია, არჩევნების თარიღის მოახლოებასთან ერთად იმატა საპრეზიდენტო კანდიდატების გაშუქებამ, თუმცა მათ აქტივობებს მეტწილად ისევ იმ შემთხვევაში ეთმობოდა დრო, თუ კამპანია აჭარის რეგიონის მასშტაბით ხორციელდებოდა. ასეთი სიუჟეტები კარგად იყო დაბალანსებული და ძირითადად კანდიდატის კომენტართან ერთად სიუჟეტში აუცილებლად იყო მოცემული ამომრჩევლის ინტერვიუც. ასევე, საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ყოველ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში შუქდებოდა რომელიმე საპრეზიდენტო კანდიდატის პორტრეტი, სადაც პიარის სპეციალისტები და ექსპერტები აფასებდნენ კონკრეტული კანდიდატის მიმდინარე საარჩევნო კამპანიას. ეს მონიტორიგნის სუბიექტებისთვის დათმობილ დროშიც აისახება. საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე მეტი დრო გიორგი მარგველაშვილს დაეთმო, რომელიც ყველა სუბიექტისთვის დათმობილი დროის 4 პროცენტს (16 წუთი) შეადგენს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მისი გაშუქების 84 პროცენტი დადებითი იყო რაც, კანდიდატებს შორის ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს შედარებით ნაკლები დრო დაეთმოთ.

რაც შეეხება მონიტორიგნის სხვა სუბიექტებს, დათმობილი დროის მიხედვით პირველ ექვსეულში მთავრობა, საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის პარტიები, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი და აჭარის მთავრობა მოხვდნენ. მათ შორის, ყველაზე მეტი უარყოფითი ტონი მთავრობასა და პრემიერ-მინისტრს დაუფიქსირდა.



19 სექტემბერი - 26 ოქტომბრის პერიოდში დაფიქსირდა ეთიკური ნორმების დარღვევის რამდენიმე შემთხვევა. მათ შორის აღსანიშნავია 14 ოქტომბერს გასული სიუჟეტი, რომელიც ვარცხანის დასახლებაში ზღვის ნაპირას 75 წლის მამაკაცის ცხედრის გამორიყვას შეეხებოდა. ამ ფაქტის ჩვენების შემდეგ, სიუჟეტში წარმოდგენილი იყო საგანგებო და გადაუდებელ სიტუაციათა სამსახურის წარმომადგენლის კომენტარი, რომლის ფონზეც მთელი ინტერვიუს განმავლობაში ჩანდა სანაპიროზე გამორიყული ცხედარი, რომელსაც არაფერი ჰქონდა გადაფარებული.

რუსთავი 2

რუსთავი 2-ის საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ანგარიშის მოცემულ პერიოდში შეინიშნებოდა დაბალანსებული და მიუკერძოებელი სიუჟეტები. იყო სიუჟეტები, სადაც მიუხედავად თემის სიმწვავისა და პოლიტიზირებულობისა, ჟურნალისტი არ ცდილობდა განსაკუთრებული კონტექსტი შეექმნა და ნეიტრალურად გადმოსცემდა ფაქტს. ასევე, ვრცლად და სიღრმისეულად შუქდებოდა ისეთი თემები, როგორებიცაა: ხუდონჰესის მშენებლობა და ჯიჰადის საქმე.

თუმცა, მონიტორინგის ამ პერიოდშიც საკმაოდ თვალში საცემი იყო პრეზიდენტის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება. მისი აქტივობები და გამოსვლები საკმაოდ ვრცლად, თითქმის ყოველდღე შუქდებოდა და სიუჟეტები უმეტეს შემთხვევაში დადებით შთაბეჭდილებას ტოვებდა მასზე. ამასთან, იგივე სიუჟეტებში პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, უმეტესად პრეზიდენტის საუბრიდან გამომდინარე, უარყოფით კონტექსტში განიხილებოდნენ. ამასთან, ზოგადად, შედარებით ნაკლები დრო ეთმობოდათ. მაგალითად, 5 ოქტომბერს, ძალიან ვრცლად გაშუქდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობა (პირველი სიუჟეტი, 14 წუთი), სადაც პრეზიდენტისა და დავით ბაქრაძის გამოსვლების საკმაოდ ვრცელი ნაწილები აჩვენეს. ამის შემდეგ გიორგი მარგველაშვილის კამპანიაზე იყო სიუჟეტი, რომელიც 3 წუთს გრძელდებოდა. იგივე გადაცემაში პირდაპირი ჩართვა იყო ისევ პრეზიდენტთან, რომელიც თითქმის 20 წუთი გაგრძელდა. შედარებისთვის, აქვე შეიძლება, აღინიშნოს 19 სექტემბერს გასული სიუჟეტი გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო კამპანიის წარდგენის შესახებ, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართა. იყო საკმაოდ დიდი ცერემონია და სიტყვით გამოვიდა როგორც პრემიერ-მინისტრი, ასევე მთავრობის წევრები. რუსთავი 2-ზე ეს სიუჟეტი მეოთხე ნომრად გავიდა და 6 წუთი დაეთმო. თუმცა, სიუჟეტი საკმაოდ დადებითი იყო.

დათმობილი დროის მიხედვით, ისევე როგორც მონიტორინგის წინა პერიოდებში, პირველ ხუთეულში ისევ მთავრობა, პრეზიდენტი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია ქართული ოცნება და პრემიერ-მინისტრი მოხვდნენ. მათ შორის დადებითი ტონის განსაკუთრებით დიდი წილი დაუფიქსირდა პრეზიდენტს - 69 პროცენტი. რაც შეეხება, საპრეზიდენტო კანდიდატებს, საკმაოდ თანაბარი დრო დაეთმოთ გიორგი მარგველაშვილს და დავით ბაქრაძეს. თუმცა, დავით ბაქრაძეს დადებითი ტონის შედარებით მეტი წილი აქვს. ამასთან აღსანიშნავია, რომ გიორგი მარგველაშვილს სხვა ძირითად საპრეზიდენტო კანდიდატებთან შედარებით, პირდაპირი საუბრის ყველაზე დაბალი წილი (55%) აქვს. დანარჩენ საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის უფრო აქტიურად შუქდებოდნენ ნინო ბურჯანაძე, გიორგი თარგამაძე და შალვა ნათელაშვილი. 26 ოქტომბრის გამოშვებაში ნაჩვენები იყო ამ 5 ძირითადი კანდიდატის სატელევიზიო მიმართვები.



მონიტორინგის ამ პერიოდში რუსთავი 2-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში იყო შემთხვევები, როდესაც სიუჟეტები დასათაურების გარეშე გადიოდა. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში რესპონდენტებს არ ჰქონდათ მითითებული საიდენტიფიკაციო ინფორმაცია.

იმედი

იმედზე 19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში გასული სიუჟეტები უმეტესად დაბალანსებული და ნეიტრალური იყო. შუქდებოდა ყველა მნიშვნელოვანი და იმ დღის მთავარი თემა. არ შეიმჩნეოდა რომელიმე პოლიტიკური მხარის მიმართ მიკერძოება. სიუჟეტებში დადებით ან უარყოფით კონტექსტს ძირითადად თავად მომხდარი ფაქტი ან სიუჟეტში გამოთქმული კომენტარები ქმნიდნენ. ამ პერიოდში დადებითი და უარყოფითი სიუჟეტები მზადდებოდა როგორც მთავრობასა და პრემიერ-მინისტრზე, ისე პრეზიდენტზე. მონიტორინგის სხვა პერიოდებთან შედარებით ოქტომბრიდან იმატა კრიტიკულმა სიუჟეტებმა მთავრობის მიმართ; ასეთი სიუჟეტები იყო, მაგალითად, ე.წ. სამხრეთ ოსეთის საზღვართან დაკავშირებული პრობლემები, ასევე მდინარე

ცხენისწყალში გაჟონილი დარიშხანი. საერთო ჯამში პოლიტიკური სიუჟეტები და თემები ნეიტრალურად შუქდებოდა და მხარეთა მოსაზრებებიც დაბალანსებული იყო.

მონიტორინგის ამ პერიოდში იმედზე მომზადდა რამდენიმე ანალიტიკური და სხვა არხებისგან განსხვავებული შინაარსის სიუჟეტი. ასეთი იყო, მაგალითად, 23 სექტემბერს გასული სიუჟეტი საპრეზიდენტო კანდიდატების საარჩევნო კამპანიების გზავნილებსა და მათი პიარ სტრატეგიების შესახებ. კანდიდატების სარეკლამო რგოლებს განიხილავდნენ პიარ ტექნოლოგიების სპეციალისტები და ექსპერტები. ჟურნალისტის მხრიდან ტენდენციური შეფასებები არ დაფიქსირებულა. ასევე კარგი სიუჟეტი მომზადდა 23 ოქტომბერს ჯანდაცვის საკითხზე, სადაც მოცემული იყო სხვადასხვა საპრეზიდენტო კანდიდატების ხედვები და პროგრამები ამ კუთხით.

რაც შეეხება ზოგადად საპრეზიდენტო კანდიდატების კამპანიებისა და აქტივობების გაშუქებას, ეს საინფორმაციო გამოშვების მეორე ნაწილში პატარ-პატარა სიუჟეტების გაშვებით შემოიფარგლებოდა, სადაც ხშირად უბრალოდ ფაქტი იყო გადმოცემული რომელიმე კანდიდატის ამომრჩეველთან შეხვედრის შესახებ. თუმცა, მათი მიმართვა ან საუბარი წარმოდგენილი არ იყო. საერთო ჯამში ასეთ სიუჟეტებს აკლდა ანალიტიკა და შეიძლება ითქვას, მწირ ინფორმაციას გადმოსცემდა.

დათმობილი დროის მიხედვით, როგორც დაკვირვების ქვეშ მყოფ სხვა არხებზე, ისე იმედის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში, პირველ ხუთეულში ისევ მთავრობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, კოალიცია, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მოხვდნენ. მათ შორის დადებითი გაშუქების ყველაზე მეტი წილი პრეზიდენტს დაუფიქსირდა (43%), ხოლო უარყოფითი ტონის ყველაზე მეტი წილი - პრემიერს (21%).

რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, შედარებით მეტი დრო, მსგავსი მაჩვენებლებით, დავით ბაქრაძეს, გიორგი მარგველაშვილს, ნინო ბურჯანაძეს და გიორგი თარგამაძეს დაეთმოთ, შალვა ნათელაშვილს და კობა დავითაშვილს კი - შედარებით ნაკლები. მონიტორინგის ამ პერიოდში სხვა საპრეზიდენტო კანდიდატებს ჯამში 21 წუთი დაეთმოთ.



მაესტრო

მონიტორინგის ამ პერიოდში მაესტრომ კიდევ უფრო შეამცირა საღამოს მთავარი საინფორმაციო გამოშვების ქრონომეტრაჟი. გადაცემის დასასრულს კეთდებოდა სიუჟეტების ანონსი, რომლებიც მაესტრო 24-ზე გავიდოდა. 19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ახალი ამბების გაშუქებაში არ შეინიშნებოდა მიკერძოება რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. იყო როგორც მთავრობისა და პრემიერმინისტრის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა და კოალიცია ქართული ოცნების კრიტიკა, ისე მათი დადებითი გაშუქება. პრეზიდენტი მისთვის დათმობილი დროის ნახევრის განმავლობაში დადებითად იყო წარმოდგენილი. ეს მეტწილად უკავშირდება სააკაშვილის სიტყვით გამოსვლას გაეროში. პრემიერმინისტრის კრიტიკა კი მედიის წარმომადგენლებთან მის შეხვედრებს მოჰყვა.



არჩევნების მოახლოებასთან ერთად იმატა ფოკუსმა საპრეზიდენტო კანდიდატების მიმართ. მათი კამპანიის ამსახველი სიუჟეტები გადაცემის დასაწყისში გადიოდა. თუმცა, საპრეზიდენტო კამპანიის გაშუქების ინტენსივობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. დათმობილი დროისა და გაშუქების ტონის მხრივ ძირითადი კანდიდატების მიმართ გამორჩეული დამოკიდებულება არ შეინიშნებოდა. ზოგადად, კანდიდატები სექტემბრის ბოლო-ოქტომბრის პერიოდშიც და მანამდეც საკმაოდ დადებითად შუქდებოდნენ. 26 ოქტომბრის სიუჟეტში ნაჩვენები იყო ყველა ძირითადი საპრეზიდენტო კანდიდატის შემაჯამებელი სიტყვები.

საღამოს მთავარ საინფორმაციოში გასული სიუჟეტები მთავარ თემებზე უმეტესად სრულად მიმოიხილავდა საკითხს და ნაჩვენები იყო განსხვავებული მოსაზრებები. თუმცა, იყო სიუჟეტები, რომლებშიც წყაროთა სიმცირე შეინიშნებოდა და განსხვავებული მოსაზრება გადმოცემული არ იყო. ოქტომბრის ბოლოს მაესტროს ჰქონდა ორი ექსკლუზივი, 23 ოქტომბრის გადაცემაში ინტერვიუ ყოფილ პატიმართან, რომელიც აღნიშნავდა, რომ მისი მწამებლები ციხიდან გამოუშვეს. ასევე 24 ოქტომბერს ინტერვიუ მსჯავრდებულთან, რომელიც აღიარებს არასრულწლოვნების გაუპატიურებას ქსნის საპატიმროში. მიუხედავად

იმისა, რომ სიუჟეტებში დაცული იყო რესპონდენტების კონფიდენციალობა, წარმოდგენილი იყო გამოძიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების მხარეები (ან ნათქვამი იყო, რომ მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა), არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ამ ინტერვიუების პირველ სიუჟეტებად გაშვება 2012 წლის ციხის სკანდალისა და ამ ფაქტთან დაკავშირებით ყოფილი ხელისუფლების მიმართ უარყოფითი განწყობის გახსენებას ჰგავდა.

კავკასია

კავკასიის საღამოს მთავარ საინფორმაციო გადაცემებში 19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში ახალი ამბები უმეტესად ნეიტრალურად შუქდებოდა. სიუჟეტებში უმეტესად წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მხარე და არ იგრძნობოდა მიკერძოება რომელიმე მხარის მიმართ. თითქმის ყოველთვის დღის ყველა მთავარი თემა საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ხვდებოდა. თუმცა, ხშირი იყო მოკლე და მშრალი სიუჟეტები. ხშირად შეინიშნებოდა ანალიტიკის სიმცირე და ინფორმაციის ნაკლებობა. მიუხედავად ამისა, ზოგი საკითხი, მაგალითად, სოჭის ოლიმპიადა და მასთან დაკავშირებული ქართული მხარის პოზიცია ყოველდღიურად, საკმაოდ ვრცლად და ამომწურავად იყო გაშუქებული.

კავკასიაზე შუქდებოდა საპრეზიდენტო კანდიდატების კამპანიის ძირითადი აქტივობები, ყველაზე მეტი ყურადღება მარგველაშვილის და ბაქრაძის კამპანიებს ეთმობოდა. ვრცლად გაშუქდა 19 სექტემბერს სპორტის სასახლეში გიორგი მარგველაშვილის საპრეზიდენტო პროგრამის წარდგენა და 5 ოქტომბერს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ყრილობა. ბოლო პერიოდში ასევე შედარებით აქტიურად შუქდებოდა ნინო ბურჯანაძის, გიორგი თარგამაძის და ზურაბ ხარატიშვილის წინასაარჩევნო აქტივობები.

რაც შეეხება ზოგადად სუბიექტებისთვის დათმობილ დროს, ისევე როგორც სხვა არხებზე და მონიტორინგის სხვა პერიოდებში, 19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში კავკასიაზე პირველ ხუთეულში კვლავ არ მოხვდა არცერთი საპრეზიდენტო კანდიდატი. პირველ ხუთეულში ისევ მთავრობა, კოალიცია ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური

მოძრაობა, პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი მოხვდნენ. როგორც უკვე აღინიშნა, საპრეზიდენტო კანდიდატებს შორის ყველაზე მეტი დრო მარგველაშვილსა და ბაქრაძეს ეთმობოდა.



რაც შეეხება გაშუქების ტონს, ძირითადი სუბიექტებიდან ყველაზე მეტი უარყოფითი გაშუქების წილი პრემიერ-მინისტრსა (20%) და პრეზიდენტს (17%) ჰქონდათ. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პრეზიდენტის დადებითი წილი თითქმის ორჯერ აღემატება პრემიერის დადებით წილს. რაც შეეხება საპრეზიდენტო კანდიდატებს, მარგველაშვილის და ბაქრაძის დადებითი გაშუქების პროცენტი საკმაოდ მსგავსია. დადებითი ტონის შედარებით ნაკლები წილი ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს.

კავკასიაზე კვლავ ხშირი იყო ტექნიკური ხარვეზები. იყო შემთხვევები, როდესაც სტუდიიდან წამყვანის მიერ წარდგენილი ამბის შემდეგ სხვა მომზადებული სიუჟეტი გავიდა ეთერში ან სიუჟეტში რესპონდენტის კომენტარი სრულიად არაადექვატური და კონტექსტიდან ამოგლეჯილი იყო.

დასკვნა

19 სექტემბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდის შედეგებით შეიძლება, ითქვას, რომ მიუხედავად საპრეზიდენტო კანდიდატების და მათი კამპანიების აქტიური გაშუქებისა, დათმობილი დროის მიხედვით კვლავ არცერთ არხზე არცერთი კანდიდატი პირველ ხუთეულში არ არის. მათი აქტივობები ყოველდღე, ყველა არხზე გადაცემის სხვადასხვა ნაწილში და სხვადასხვა სახით შუქდებოდა. ზოგიერთ არხზე კეთდებოდა სიუჟეტები მათი „პორტრეტების" შესახებ, მათი პიარის და რეკლამის ანალიზი. თუმცა, ძალიან იშვიათად კეთდებოდა აქცენტი და მზადდებოდა სიუჟეტები მათი პროგრამების ანალიზზე.

მონიტორინგის ამ პერიოდში სატელევიზიო არხები თავიანთ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ძირითადად ყველა მნიშვნელოვან ამბავს აშუქებდნენ. თუმცა, იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი ამბავი ან თემა რომელიმე არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არ მოხვდა. სხვადასხვა სიხშირით და რაოდენობით შუქდებოდნენ როგორც საპრეზიდენტო კანდიდატები, ასევე პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, თუმცა საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ წინასაარჩევნო გარემო დაკვირვების ქვეშ მყოფ არხებზე მეტ-ნაკლებად თანაბარი და ნაკლებად პოლარიზებული იყო. დათმობილი დროის მიხედვით პირველ ხუთეულში, ყველა არხზე სხვადასხვა მიმდევრობით, კვლავ მთავრობა, პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, კოალიცია ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა რჩებიან.